საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

MIA 2 18 0001/396

24/08/2018

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და მის სისტემაში შემავალი სტრუქტურული ქვედანაყოფების, ტერიტორიული ორგანოებისა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის შენობა-ნაგებობებში ან/და ტერიტორიაზე, სადაც ისინი საქმიანობას ეწევიან, თამბაქოს მოწევის აკრძალვის/შეზღუდვის წესის დამტკიცების შესახებ

„თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის 1^1 პუნქტის „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტების, მე-8 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ამ ბრძანების დანართის შესაბამისად დამტკიცდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) და მის სისტემაში შემავალი სტრუქტურული ქვედანაყოფების, ტერიტორიული ორგანოებისა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის შენობა-ნაგებობებში ან/და ტერიტორიაზე, სადაც ისინი საქმიანობას ეწევიან, თამბაქოს მოწევის აკრძალვის/შეზღუდვის წესი.
2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული წესის შესრულების მიზნით, სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებს, ტერიტორიულ ორგანოებსა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას – საქართველოს სასაზღვრო პოლიციას დაევალოთ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.
3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სამინისტროს გენერალურ ინსპექციას (დეპარტამენტი).
4. ბრძანება გაეცნოს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების, ტერიტორიული ორგანოებისა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ხელმძღვანელებს.
5. სამინისტროს ადმინისტრაციამ (დეპარტამენტი) უზრუნველყოს ამ ბრძანების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე (info.police.ge) გამოქვეყნება.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი მისი ოფიციალურად გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

მინისტრი
გახარია გიორგი

დანართი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და მის სისტემაში შემავალი სტრუქტურული ქვედანაყოფების, ტერიტორიული ორგანოებისა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის შენობა-ნაგებობებში ან/და ტერიტორიაზე, სადაც ისინი საქმიანობას ეწევიან, თამბაქოს მოწევის აკრძალვის/შეზღუდვის წესი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

ეს წესი განსაზღვრავს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) და მის სისტემაში შემავალი სტრუქტურული ქვედანაყოფების, ტერიტორიული ორგანოებისა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის (შემდგომში – სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება) შენობა-ნაგებობებში ან/და ტერიტორიაზე თამბაქოს მოწევის აკრძალვასთან/შეზღუდვასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს.

მუხლი 2. თამბაქოს მოწევის აკრძალვა/შეზღუდვა

1. თამბაქოს მოწევა აკრძალულია სამინისტროს ადმინისტრაციულ შენობა-ნაგებობებში ან/და ტერიტორიაზე, ასევე სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების, ტერიტორიული ორგანოებისა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების შენობა-ნაგებობებში ან/და ტერიტორიაზე, სადაც ისინი საქმიანობას ეწევიან, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ადგილებისა.

2. თამბაქოს მოწევა დასაშვებია:

ა) სამინისტროს, სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების, ტერიტორიული ორგანოებისა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების შენობა-ნაგებობების აივანზე, რომელსაც გააჩნია არანაკლებ 1/2 ღია სივრცე და მოწყობილია ადგილი თამბაქოს მოწევისთვის;

ბ) სამინისტროს, სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების, ტერიტორიული ორგანოებისა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების შენობა-ნაგებობების კუთვნილ ტერიტორიაზე – ღია სივრცეში, სადაც მოწყობილია ადგილი თამბაქოს მოწევისთვის;

გ) სამინისტროს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის დროებითი მოთავსების იზოლატორებში (შემდგომში – იზოლატორი) ამ წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

დ) სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის დროებითი განთავსების ცენტრში (შემდგომში - დროებითი განთავსების ცენტრი) ამ წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.

3. თამბაქოს მოსაწევი ადგილი აღჭურვილი უნდა იყოს საფერფლით ან/და სანაგვე ურნით.

მუხლი 3. თამბაქოს მოწევის შეზღუდვა იზოლატორებში და დროებითი განთავსების ცენტრში

1. იზოლატორებში თამბაქოს მოწევის შეზღუდვასთან დაკავშირებული წესები განისაზღვრება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების ტიპური დებულებისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 2 აგვისტოს №423 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების შინაგანაწესით“ და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების საქმიანობის მარეგულირებელი დამატებითი ინსტრუქცია“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 8 დეკემბრის №692 ბრძანებით დამტკიცებული „იზოლატორების საქმიანობის მარეგულირებელი დამატებითი ინსტრუქციით“.

2. გარდა ამ წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა“ და ,,ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ადგილებისა, დროებითი განთავსების ცენტრში თამბაქოს მოწევა დასაშვებია:

ა) მკაცრი ზედამხედველობის ოთახში;

ბ) ადაპტირებულ ოთახში განთავსებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უცხოელისათვის - მისი განთავსების ოთახში.

მუხლი 4. სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების, ტერიტორიული ორგანოებისა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ვალდებულებები

1. სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფები, ტერიტორიული ორგანოები და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ვალდებულნი არიან:

ა) განახორციელონ თავიანთ შენობა-ნაგებობაში ან/და ტერიტორიაზე ამ წესით დადგენილი თამბაქოს მოწევის აკრძალვის/შეზღუდვის კონტროლი;

ბ) თავიანთი შენობა-ნაგებობის ყველა შესასვლელსა და გასასვლელში და სხვა თვალსაჩინო ადგილას განათავსონ თამბაქოს მოწევის აკრძალვასთან/შეზღუდვასთან დაკავშირებული წესები, თამბაქოს მოწევის ამკრძალავი ნიშანი, აგრეთვე იმ მოსამსახურის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი და სხვა ინფორმაცია, რომელთან დაკავშირებაც იქნება შესაძლებელი თამბაქოს მოწევის აკრძალვასთან/შეზღუდვასთან დაკავშირებული წესების დარღვევის შემთხვევაში;

გ) თამბაქოს მოწევის ადგილას განათავსონ შესაბამისი ნიშანი და უზრუნველყონ თამბაქოს მოწევის ადგილის სანაგვე ურნით ან/და საფერფლით აღჭურვა;

დ) თამბაქოს მოწევის აკრძალვის/შეზღუდვის კონტროლის მიზნით განსაზღვრონ შესაბამისი სტრუქტურული ერთეული/მოსამსახურე;

ე) ამ წესის დარღვევის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ მიიღონ სათანადო ზომები, დარღვევის აღკვეთის მიზნით;

ვ) თავიანთი მოსამსახურის მიერ თამბაქოს მოწევის აკრძალვის/შეზღუდვის გამოვლენილი დარღვევების შესახებ წერილობითი ფორმით შეატყობინონ სამინისტროს გენერალურ ინსპექციას (დეპარტამენტს).

2. სამინისტროს ადმინისტრაციულ შენობა-ნაგებობებში ან/და ტერიტორიაზე, ასევე სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების შენობა-ნაგებობებში ან/და ტერიტორიაზე

სადაც ისინი საქმიანობას ეწევიან ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ღონისძიებებს ახორციელებს სამინისტროს ლოჯისტიკის დეპარტამენტი.

3. სამინისტროს ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობების, სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების, ტერიტორიული ორგანოებისა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების შენობა-ნაგებობების და მათი ტერიტორიის დაცვის განმახორციელებელი მოსამსახურე ვალდებულია, დასაცავ ობიექტზე (შენობა-ნაგებობის ან/და ტერიტორიის შესაბამისი მონაკვეთი) თამბაქოს მოწევის აკრძალვის/შეზღუდვის წესების დარღვევის ფაქტი აცნობოს თავის უშუალო ხელმძღვანელს, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის მიწოდებას ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოსამსახურისათვის.

მუხლი 5. პასუხისმგებლობა თამბაქოს მოწევის აკრძალვის/შეზღუდვის დარღვევისათვის

1. სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების, ტერიტორიული ორგანოებისა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების მოსამსახურეს, ასევე დროებითი განთავსების ცენტრში მყოფ დაკავებულ/მოთავსებულ უცხოელს ამ წესის დარღვევის შემთხვევაში პასუხისმგებლობა დაეკისრება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. სამინისტროს, სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების, ტერიტორიული ორგანოებისა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების შენობა-ნაგებობებში ან/და მის ტერიტორიაზე მყოფი გარეშე პირის მიერ ამ წესის შეუსრულებლობის შემთხვევაში, სამინისტროს გენერალური ინსპექცია (დეპარტამენტი), ასევე ამ წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მოსამსახურე, უფლებამოსილია მოსთხოვოს დამრღვევ პირს თამბაქოს მოწევის შეწყვეტა, ხოლო აღნიშნულის შეუსრულებლობის შემთხვევაში შენობა-ნაგებობის ან/და ტერიტორიის დატოვება.